№ 160

ოთხშაბათი, 6 აგვისტო 1897 წ.

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227·

1877—1897

# ივერია

№ 160

ოთხშაბათი, 6 აგვისტო 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

ბაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 8 აგვისტოს.

---

პირველ აგვისტოდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია" ჰღირს 5 მან. 50 კაპ.

---


## სასწავლებელი მეორე ხარისხისა

## სპ. ბ. ჯორჯიკიასი

(ქუთაისი, ტფილისის ქუჩა, №№ 28 და 35).

სასწავლებელი შესდგება სამის მოსამზადებელ და ორის პროგიმნაზიულ კლასისაგან. სასწავლებელთან დაარსებულია პანსიონი და სარეპეტიციო (საღამოს) კლასები როგორც ამავე სასწავლებლისა, ისე გიმნაზიისა, რეალურ და სხვა სასწავლებლების ყველა კლასის მოსწავლეთათვის.

მისაღები ეგზამენები იწყება 20 აგვისტოდგან, ხოლო სწავლა—პირველ სექტემბრიდგან.

(10—6.—2)


### რედაქციისაგან

ვაცნობებთ იმ ხელის-მომწერელთ, რომელთაც მარშან პირველ იანვრიდგან მთელის წლით გამოიწერეს და თუმანი წარმოადგინეს, რომ გაზეთი მოესპობათ ამ აგვისტოს დამლევს. ვისაც ჰსურს ამ 1897 წლის დამლევამდე ეგზავნებოდეს გაზეთი, თუმანს უნდა დაუმატონ კიდევ 3 მან. 33 კაპ.

---


**გორის სამასწავლებლო სემინარიაში** განმეორებითი ეგზამენები და გასინჯვა ექიმის მიერ ახლად მისალებ ყმაწვილებისა 26 აგვისტოსათვის არის დანიშნული. 27 აგვისტოს დანიშნულია წერაში გამოცდა, ხოლო 28—ზეპირი გამოცდა იქნება. 1-ლს სექტემბერს პარაკლისი იქმნება გარდახდილი და სწავლა დაიწყება.

თავისუფალი ადგილებია: უმცროსს მოსამზადებელს კლასში—8 (მარტო თათრებისათვის), უფროსს მოსამზადებელს კლასში—11 და პირველს კლასში—2.

(3—6.—3).

**ანასტასიას სახელზედ გორში არსებულ დედათა პროგიმნაზიაში** მისაღები ეგზამენები 26—27 აგვისტოს იქმნება; განმეორებითი ეგზამენები 28 აგვისტოსათვის არის დანიშნული; 1-ლს სექტემბერს პარაკლისი იქმნება გარდახდილი და სწავლაც დაიწყება.

მოსამზადებელ კლასის უმცროსს განყოფილებაში მიიღებიან ექვსის წლისანი და უფროსნიც, თუნდაც რუსული და დედა-ენაზედ წერა კითხვა არ იცოდნენ.

მოსამზადებელს კლასებში წლიურად სწავლის ფასი 26 მანეთია.

(3—6.—3).


### მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ: საარტილერიო ბრიგადის კაპიტანს თავად ავალიშვილს—პოდპოლკოვნიკობა და ამასთან დაინიშნა იმავე ბრიგადის მეექვსე ბატარეის უფროსად.

დანიშნულ იქმნა: ყუბანის ოლქის გამმართველ გამგეობის კანცელარიის მოხელე, კოლლეჟსკი სეკრეტარი ხუციშვილი—ყუბანის ჯარის, ყმაწვილ ქალთათვის დაწესებულ თავშესაფარის სამზრუნველოს საპატიო წევრად, უწინდელსავე თანამდებობაზედ დატოვებით.

## ახალი ამბავი

—

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა ახალი მმართველი ბ. ბეკი.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი ნ. ი. კოვალსკი დანიშნულ იქმნა ტფილისისავე ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსად.

*** ამას წინად გაზეთ „Кавк."-ში დაბეჭდილი იყო ფელეტონი ბ-ნ ვეგესი შემდეგის სათაურით: „გასეირნება ყარსის რკინის გზის ლიანდაგზედ". ბ-ნი ვეგე სხვათა შორის სწერდა: ამ გზის მკეთებელმა ინჟენერმა ვურცელმა მითხრა, რომ იჯარადარი კარაპეტოვი (ინჟენერია) და ორი კიდევ სხვა სომეხი წინდაწინ ფულსა გვთხოვენ და როდესაც ჩვენ ვერ ავუსრულებთ ხოლმე იმას, რის ასრულებაც არ შეგვიძლიან, იწყებენ ყვირილსა, ჩმუნსა და გვემუქრებიან მუშებს ავაჯანყებთო, იმ მუშებს, რომელთაც ფულს არ აძლევენ. ყველა იჯარადრებზედ უწეს-რიგო და თავის მოსაბეზრებელი იჯარადრები ესენი არიან".

გაზეთი „ტფილ. ლისტ." სწერს: ეს სიტყვები ცილის წამებად მიიჩნია ინჟენერმა კარაპეტოვმა და საჩივარი შეიტანა გაზეთ „კავკაზ"-ის დროებით რედაქტორზედ ბ-ნ უსპენსკიზედ და თვით ფელეტონის ავტორზედ—ცილი დამწამესო და სთხოვს სასამართლოს: მიუსაჯოს მათ სასჯელი აღნიშნული დებულებათა 1535 მუხლში, თუ ბ-ნმა უსპენსკიმა და ფელეტონის ავტორმა ბ-ნ ვეგემ არ დაამტკიცეს, რომ ზემოხსენებული სიტყვები მართლა ინჟენერს ვურცელს უთქვამს.

*** პირველი მორიგი კრება ტფილისის ახალის საბჭოსი დაიწყება 1 სექტემბერს.

*** გუშინ-წინ, 4 აგვისტოს, ტფილისის გუბერნატორმა გაუგზავნა პოლიცმეისტერის თანამდებობის ამსრულებელს ზ. ლოლაძეს 120 მედალი (ბრინჯაოსი).

*** ქალაქის გამგეობამ მიჰმართა მთავრობას და სთხოვა, ნება მოგვეცით კუკიაში დავაარსოთ უფასო სამკურნალოო. ბ-ნმა გუბერნატორმა ეს თხოვნა განიხილა და ქალაქის გამგეობას მოსთხოვა საჭირო ფული სამკურნალოს შესანახი ან რაიმე თავმდებობა, რომ ახლად დაარსებულ სამკურნალოს საქმე შემდეგ არ დაბრკოლდეს სხვა-და-სხვა მოულოდნელ შემთხვევისა გამო.

*** სექტემბრის დამდეგს ტფილისში მოვა საზღვარ-გარეთიდგან აკადემიკოსი თავ. ი. რ. თარხნიშვილი და აქ რამდენსამე ლექციას წაიკითხავს. ლექციებისაგან შემოსავალის ნახევარი გადადებულ იქმნება საქველ-მოქმედო საქმეთათვის.

*** მეურნეობის დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი ხომიაკოვი პეტერბურგიდგან წამოვიდა და სულ ცოტა ხანში კავკასიაში ჩამოვა.

*** ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ 22 ივლისიდგან 1 აგვისტომდე ტფილისში ავად გამხდარა გადამდების სენით: წითელით—2, ხუნაგით—2 და ქუნთრუშით—1.

*** ტფილისის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ ბ-ნ დებარიშვილს დაევლო ის ადგილები, სადაც საქონლის ავადმყოფობა არის სართიჭალის საბოქაულოში და საჭირო საშუალება მიეღო მის წინააღმდეგ. მას უკვე შეუსრულებია ეს განკარგულება.

ს. ოლგინსკასა, ახალ-სოფელსა და ნიკოლაევსკაში დეზინფექცია მოუხდენია და ავადმყოფი საქონელი გაუცალკევებია. ბევრს ადგილას შეუნიშნავს, რომ დახოცილის საქონლის ლეში ეზოებში უფლავთ. მაშინვე ამოუღებინებია და კარგა მოშორებით დაუმარხვინებია. თითო ადგილი მიუჩენია მათთვის, სადაც უნდა ავადმყოფი საქონელი ჰყავდეთ და იქავე

---

## ფელეტონი

—

### ნაწყვეტი

—

როს აგვშორდება სასტიკის,
სუსხიან ზამთრის ყინვაო,
როს მოისპობა ბედ-შავის
თრთოლვა და ტანში ზრინვაო,
როს გვეღირსება ვიხილოთ
მნათობის სხივის ბზინვაო,
მის-მიერ დამდნარ თოვლ-ჭყაპის
გულ-დაკოდილი გმინვაო!..

ვ. თ—შვილი

### წერილი კონსტანტინეპოლიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

26 ივლისი

თესალიის საქმე და ევროპის სახელმწიფოთა კონცერტი.—კრიტი სჯობია თუ თესალია?—რითი იმართლებენ ბერძნები თავს.—ოსმალთა მზადება.—სომხები რაღას აპირებენ?—ტყუილი იმედია.—ერთი რომანიული ამბავი მკითხველის წასახალისებლად.

გვსურდა მოგვეცადა რამდენიმე დღე იმ მოსაზრებით, რომ თესალიის შესახებ უკანასკნელი რამ გვეთქვა. გვეგონა, დეპეშები, რომელიც ყოველ საათში იუწყებოდა საქმის მდგომარეობას, ეხლა მაინც გამართლდებოდა, მაგრამ მოვტყუვდით—ყველა ეს და სხვა მრავალი სულ ოცნების ნაყოფი გამოდგა. გუშინწინდელმა მეცამეტე კონფერენციამ, რომელსაც დაესწრნენ ევროპის ყველა ელჩები, გამოაცხადა, რომ თევთიკ-ფაშას არ შეუძლიან დასთანხმდეს წარმომადგენელთა აზრს თესალიის განსაზღვრის შესახებ, თუმცა დედა-აზრის მხრივ იგი, ხალიფის ბრძანებით, თანახმა არისო. ეს არის და ეს ჯერ-ჯერობით ნაყოფი ევროპის კონცერტისა, რომელიც, როგორც აშკარავდება, სამ ბანაკად ყოფილა განყოფილი. ავსტრია და გერმანია ერთად წინააღმდეგნი არიან ოსმალეთის თესალიიდგან გასვლისა. ინგლისი, იტალია და საფრანგეთი გარდაწყვეტით თხოულობენ დასცალოს ოსმალეთმა იგი, და რუსეთიკი ოსმალეთს სრულს ნებას არ აძლევს, როგორც უნდა, ისე მოიქცეს. თურმე ამასა ჰქვიან ევროპის სახელმწიფოთა მორიგება აღმოსავლეთის საქმის გამო.

ოსმალეთს ეხლა, როგორც ვხედავთ, დიდი ასპარეზი ჰქონია დარჩენილი სამოქმედოდ და რიგიანადაც უძღვება თავისს საქმეს. იგი ეხლა ერთს საკვირველს აზრს დაადგა, სურს მოელაპარაკოს თვით საბერძნეთის მთავრობას, დაუთმოს მას კრიტი და თესალია-კი თითონ დაინარჩუნოს. ეს უკანასკნელი აზრი ოსმალეთის მთავრობისა იმან გამოიწვია, რომ კრიტი ასე თუ ისე მაინც დაკარგულად ჩაითვლება ოსმალეთისათვის. თუ ასე დარჩა კრიტის მდგომარეობა, როგორც ეხლა არის, საბერძნეთისთვისაც დაკარგულია. ეჭვი არ არის, კრიტი ბევრად სჯობია გაოხრებულს თესალიას და შესაძლებელია ბერძნები დასთანხმდნენ კიდეც ამ წინადადებას, თუ რომ აქაც კიდევ ევროპის კონცერტი არ გაეკეტა შუაში.

ყოველ შემთხვევაში საკვირველი ის არის, რომ ევროპა კრიტის კუნძულზედ სხვა-და-სხვა კანდიდატების რჩევაში იმტვრევს თავ-პირს, თითქო კრიტი უკვე იმათს განკარგულებაში იყოს, და აქედგან-კი მართლ-მორწმუნეთა ხალიფი გუბერნატორს და ადმინისტრატორებს ჰგზავნის და საომარის გემებით ჰქალტავს იქაურობას. უეჭველად აქ ერთი რამ ასულდგმულებს ოსმალეთს, თორემ ასე ხმა-ამოუღებლად არ იკისრებდა ამოდენა ხარჯს. ოსმალეთის მთავრობა, ანუ სულტან-ჰამიდი ბერძნებსავით ოცნებას არ აჰყვება. ამ უკანასკნელ ხანებში ეჭვი აღარავისა აქვს, რომ საბერძნეთი მოაღორა „ეთნიკა-ეთერიამ", რომელიც არწმუნებდა ქვეყანას, რომ შეიარაღებული მყავს მთელი მაკედონია და ოსმალეთის ყველა კუნძულებიო. საქმით-კი სრულიად არა აღმოჩნდა-რა. ეხლა საბერძნეთის მხედართ მთავრები იმითი იმართლებენ თითონ თავს და ამართლებენ „ეთნიკა-ეთერიას" (საერო საზოგადოება), რომ ვითომ ბრძანება, მოსდიოდათ დიდ სახელმწიფოებისაგან, —„უკან დაიწიეთ, წინ ნუ წახვალთო". ზოგი „პოლიკარი" იმასაც ამტკიცებს, ვითომ ეს დიდი სახელმწიფო რუსეთი იყოსო.

ოსმალები-კი ასეთნი არ არიან, თუმცა ესენიც იმდენად გულდიდობენ ამ ერთის გამარჯვებით, რომ საწყალს ბერძნებს ხმის ამოღებაც არ შეუძლიანთ არსად, მაგრამ მაინც არ შეიძლება ოსმალებს ის სულ-მოკლეობა და წინდაუხედაობა მივაწეროთ, რაც ბერძნებს მოუვიდათ.

ყოველ ცისამარა დღეს მზადებაში არიან ოსმალები: ამაგრებენ ციხეებს, აგროვებენ ჯარს, ამზადებენ სურსათს, ჰყიდულობენ ცხენებს და სხვა. მაკედონია და ბალკანეთის ყველა საზღვარი ისე აქვთ გამაგრებული, რომ უკეთესი არ შეიძლება. ამ დღეებში იგზავნება კამისია დარდანელის სრუტეში მინების მოსამზადებლად. შავის ზღვისკენ და მთელს ბოსფორში კავაკიდგან დაწყებული (შავის ზღვიდგან შესავალია) დარდანელის კარებამდის აუარებელი სიმაგრეები გაკეთდა. ოსმალეთი ერთს წუთსაც არა ჰკარგავს. ერთის მხრივ რომ ომის თადარიგშია იგი, მეორეს მხრივ სომხებსაც და ახალ ოსმალებსაც არა სტოვებს უყურადღებოდ. ამ დღეებში გახშირდა სომხებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლოს დასამარხავადაც უჩვენები ადგილები; სოფ. ოლგინსკაიასა, ახალ-სოფელსა და ნიკოლაევსკაში მას შემდეგ ავად აღარა გამხდარა-რა. მანამდის კი ამ სამს სოფელში 213 სული საქონელი მომკვდარა სოფ. საგარეჯოსა და გიორგი-წმინდაში უკვე მოსპობილა ჭირი. ეხლა მხოლოდ პატარძეულშია ჭირი. იქ ახლად გაჩენილა და ამ ჟამად 40 სულია ავად. ავადმყოფი საქონელი სოფლიდგან 4 ვერსის მანძილზედ დაუყენებია, საკუთარი მწყემსი მიუჩენებია და შესაფერი დარიგება მიუცია. თუ მამასახლისმა კარგად ადევნა თვალყური, იმედია, იქაც მალე მოისპობა ეს სენი.

დაუვლია კიდევ სხვა სოფლებიც: ნორიო, მარტყოფი, დიდი ლილო, პატარა ლილო, მუხროვანი, ხაშმი, აგრამ იქ საქონლის ჭირი არ აღმოჩენილა. ზოგიერთ სოფელში თურქული შეუმჩნევია, მაგრამ ამ სენისგან საქონელი არ დაზარალებულა.

*** კავკავი. აქ ხმა გავრცელდა, რომ აქაური ქართული სკოლის მასწავლებელი ბ-ნი ლ. ბოცვაძე სხვაგან გადაიყვანესო. ამ ამბავმა კავკაველი ქართველობა ძალიან დაალონა. ბ-ნს ბოცვაძეს, დიდი ღვაწლი მიუძღვის აქაურ ქართულ სკოლაზედ, მისის მეცადინეობით აქაური სკოლა კარგს ნიადაგზეა დამყარებული და ჯერ გასაკეთებელიც აქვს ზოგი რამ.

—

### შეცდომის გასწორება

—

გუშინდელს ი. ნაცნობის ფელეტონში „მცირე რამ“ შეცდომით არის დაბეჭდილი გვარი „ილშინსკი“, უნდა იყოს—„ილიინსკი“.

## საზაფხულო საპედაგოგიო კურსები ქ. ტფილისში.

### I

ერთს კვირაზედ მეტია, რაც დასრულდა მეურნეობის შესახებ ლექციების კითხვა სამრევლო სკოლის მასწავლებელთათვის. მას შემდეგ მასწავლებელნი ქალნი და კაცნი ერთად წარსულ კვირაში სასულიერო სემინარიაში ისმენდნენ ლექციებს სხვა-და-სხვა სასწავლო საგნების შესახებ და აგრედვე სამაგალითო გაკვეთილებსაც. წარსულ შაბათს სამაგალითო გაკვეთილების მიცემა დასრულდა და მას შემდეგ მასწავლებელნი ქალნი და კაცნი თითონ აძლევენ რიგზე სანიმუშო გაკვეთილებს, რომელიც ყოველ დღე ირჩევა ცალკე პედაგოგიურს სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობს ზედამხედველი სამრევლო სკოლებისა ნ. გ. ტატიშვილი. მასწავლებელთა კრებაზე ამ ჟამად ჰკითხულობს ლექციებს სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ბ-ნი ილია ფერაძე. ოთხს აგვისტოს ბ-ნმა ფერაძემ წაუკითხა მასწავლებელთა კრებას მოკლე დარიგება დიდაქტიკიდგან; სინამდვილით და მოკლედ განმარტა შემდეგი კითხვები მასწავლებლების მოვალეობის შესახებ: მოწოდება მასწავლებლისა, მასწავლებელი როგორც აღმზრდელი, პიროვნებითი თვისებანი მასწავლებლისა, მაგალითის მნიშვნელობა და მასწავლებლის ზნეობრივი მხარე-კეთილ სინდისიანობა, მოთმინება, დაკვირვება, მართლ მსაჯულება და აუცილებელი საჭიროება მასწავლებლის მხრივ თვით განვითარების ზრუნვაზე და მასწავლებელი როგორც მამულის შვილი.

ამას გარდა ბ-ნმა ი. ფერაძემ მოიხსენა თავისს ლექციაში ის გარემოება, თუ რა შეადგენდა ქართველ ხალხისა და აგრეთვე რუსების წმინდა-წმიდათას. პატარა, მაგრამ მრავალ ტანჯული საქართველოსათვის სარწმუნოება, მართლ-მადიდებლობა და მისთვის ტანჯვა წვალება შეადგენდა დასაწყისს და დასასრულს მიზანს. 1801 წელს საქართველო სრულიად შეუერთდა რუსეთს და მას შემდეგ იმყოფება რუსეთის მფარველობის ქვეშ, როგორც ერთ მორწმუნე ხალხის, რუსების ყველა ზნეობრივ თვისებას საფუძვლად აქვს სარწმუნოება. იგივე ითქმის ქართველ ხალხზედაც. ამისთვის მასწავლებელი ყოველთვის გამსჭვალული უნდა იყოს თავისი ერთ-ხორცი ერის ყველა კეთილი თვისებებით, რომელნიც უნდა განავითაროს, გაამაგროს და აღზარდოს ახალთაობაში. საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი ილია ფერაძე, როგორც წაკითხული ლექციიდგან აღმოჩნდა, სრული საღი შეხედულობისა არის პედაგოგიურ მეცნიერებაზე, იმედია, რომ ამ ნაირ შეხედულობას გაატარებს შემდეგ ლექციებშიაც, რომელსაც ჩვენ დიდის სიამოვნებით მოვისმენთ და, თუ საჭიროებამ მოიტანა, კიდეც აღვნიშნავთ.

ლექციებისა და გაკვეთილების შემდეგ იმართება გალობის გაკვეთილები. ქართული გალობის გაკვეთილი ორჯელ იმართება დღეში. ქართულ გალობას ასწავლის მამა ვასილ კარბელაშვილი, რომელიც გულმხურვალეთ და დიდის სიყვარულით უძღვება ქართული გალობის სწავლების საქმეს. ხშირად მამა ვასილი მიმართავს ხოლმე მასწავლებელთ გრძნობით სავსე სიტყვებით, რომელშიაც უხსნის მასწავლებლებს ქართული გალობის მნიშვნელობას და მისი აღდგენის და გავრცელების საჭიროებას. მამა ვასილმა ორშაბათს, სხვათა შორის, განუმარტა მასწავლებლებს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ ეკკლესიურ გალობაში ძველებურ აიე, ოიეს. მამა ვასილის სიტყვით ამ აიე-ოიეს შეუნახავს და მოუყვანია ჩვენამდის ჩვენი ეკკლესიური საგალობლები. საზოგადოთ მამა კარბელაშვილის გამოკვლევანი საეკკლესიო გალობის შესახებ ფრიად საინტერესოა, მასწავლებლებიც ასე თუ ისე ხალისით ისმენენ მამა ვასილის გაკვეთილებს გალობიდგან, თუმცა და უფრო მეტი გულმოდგინებაა საჭირო, რადგანაც სამრევლო სკოლებში გალობას პირველი ადგილი უჭირავს და უმთავრეს საგნათაც არის აღიარებული. თუ ჩვენი ერი ეღირსება ოდესმე ჩვენი დიდებული საეკკლესიო გალობის აღდგენას და ხშირად მოსმენას—ეს ჩვენ დროში შესაძლებელია სამრევლო სკოლების შემწეობით. ამიტომ სულითა და გულით ვუსურვებთ წარმატებას გალობის სწავლების საქმეში როგორც მამა ვასილ კარბელაშვილს, აგრეთვე ყველა მასწავლებლებსაც.

მოკეთე

### II

მორიგი თვალ-საჩინო გაკვეთილები მისცეს: სამღრთო სჯულის მასწავლებელმა მთავარმა გარსიაშვილმა, რუსულის ენისა ახლად კურს დამთავრებულმა ბ-ნ ვ. ი. ლაშხაურმა, რუსულის გალობისა მღ. ი. მიხაილოვსკიმ, წაკითხულ იქმნა ლექცია საზოგადო დიდაქტიკისა ბ-ნ ი. ი. ფერაძის მიერ. თვალ-საჩინო გაკვეთილი სამღვთო სჯულისა გარჩეულ იქმნა ნაშუადღევის 3 საათზედ. გაკვეთილი ირჩეოდა საეპარქიო სამრევლო სკოლათა ზედამხედველ ბ-ნ ნ. გ. ტატიშვილის ხელმძღვანელობით. ვიდრე გარჩევა დაიწყებოდა, სიაში ჩაწერილ იყვნენ ისინი, რომელნიც გარჩევაში მონაწილეობას მიიღებდნენ. გარჩევა დაიწყო ბ-ნ ტატიშვილის მიერ კითხვების აღნიშვნით; თუ არ ამ საპასუხოების განმარტებით, სხვანაირად ლაპარაკი სასტიკად იყო აღკრძალული, რა თქმა უნდა, წესისა და რიგის დასაცველად. საპასუხოს აღნიშვნას დიდი მნიშვნელობა აქვს, აბდა-უბდა ლაპარაკს ადგილი აღარ ექმნება, მაგრამ საქმე ისა რის, რომ ერთის კაცის მიერ საპასუხოების აღნიშვნა ყველას თავში მოგროვილს ცნობებს ვერ ანუსხავს, ამიტომ მეტი არ იქმნება, ბ-ნმა ტატიშვილმა დასასრულ მისცეს ხოლმე ნება სთქვან ყველა ის, რაც საპასუხოდ არ გამოიწვია და ვერ გამოაშკარავა. ზოგიერთ ნაკლულევანებათა გარდა, რომელნიც შედეგი იყო ბავშვთა წინა წლებში დაუხელოვნებისა და თვით გაკვეთილის მიმცემის ახალ-გაზდობისა, თვალ საჩინო გაკვეთილმა ჩინებულად ჩაიარა. ბ-ნ ნ. გ. ტატიშვილის სიტყვით, „გაკვეთილი არ იყო მოკლებული იმ ღირსებათ' რომლით ხელმძღვანელობა სასურველია; ეს გაკვეთილი სიცოცხლითაც და მასალის გმორკვევითაც გაცილებით უკეთესი იყო სალმრთო სჯულის ყველა იმ სამაგალითო თვალ-საჩინო გაკვეთილებზედ, რომელსაც-კი დღემდის დავესწარით.

დიდი კამათობა გამოიწვია თვალ საჩინო სურათების ხმარებამ. კამათობაში მონაწილეობა მიიღო ბ-ნმა ბოცვაძემაც. ბოცვაძის სიტყვით „თვალ-საჩინო სურათი ხმარებულ არ უნდა იყოს გაკვეთილის ახსნის დროს, იგი ნაჩვენები უნდა იყოს ან წინდაწინვე, ან მოთხრობის შემდეგ, რადგარაც ბავშვთა ყურადღებას იტაცებს სურათი და არა გაკვეთილის შინაარსი“. ამავე აზრს ეთანხმებოდა ბ-ნი ტატიშვილიც. ამ აზრს ბევრი მასწავლებელი არ დაეთანხმა. იმათის აზრით, სურათი სწორედ მოთხრობის თქმის დროს არის საჭირო, იგი განყენებულ სჯას თვალსაჩინოდ ჰყოფს და ბავშვნიც, ადვილად იხსომებენო. ამ აზრს დაეანხმა მღ. ი. მიხაილოვსკიც, რომელმაც განაცხადა: „მე ხუთი წელიწადია სალმრთო სჯულის მასწავლებლადა ვარ, გაჭირვებაში ყოველთვის სურათისთვის მიმიმართავს და ამ წესს სარგებლობა მოუტანია. მოთხრობის თქმის დროს სურათს დავანახვებ მარტო იმ წუთას, როდესაც საჭიროა ვაცნობო, ვისზედ ან რაზედ არის ლაპარაკი, დანარჩენ დროს სურათს პირი ჩემკენა აქვს და არა ბავშვებისაკენ“-ო დროს უქონლობისა გამო ეს საგანი გაურჩეველი დარჩა. დიდს სამსახურს გაუწევდნენ კურსებს, რომ საპედაგოგიო მეცნიერებაში დახელოვნებულნი კაცნი გაკვეთილების გარჩევას ესწრებოდნენ.

ბ-ნ ლაშხაურის მიერ მიცემული რუსულის ენის სანიმუშო გაკვეთილი გარჩეულ იქმნა საღამოს რვის ნახევრიდგან ცხრა საათამდე. ამ გარჩევას დაესწრნენ სემინარიის რექტორი, სემინარიის მასწავლებელნი ბ-ნნი გარტინსკი, ალბოვი, ფერაძე და ივანოვი. დაესწრო, სხვათა-შორის, ბ-ნი ჭეშმარიტოვი. გაკვეთილის გარჩევაში მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ სემინარიის რექტორი და ალბოვი, მასწავლებელნი ქალნი და ვაჟნი. საკმაო კამათობა გამოიწვია ბ-ნ ჭეშმარიტოვის სიტყვამ, რომლითაც კავკასიაში გარგად ცნობილი ლევიცკის მეთოდი გააცრუა. ამაზედ სამართლიანი შენიშვნა უძღვნა ბ-ნმა ლ. გ. ბოცვაძემ. ამ საგანზედ მობაასეთა მსურველნი ბევრნი აღმოჩნდნენ, მაგრამ ბ-ნმა ტატიშვილმა ნება არ მისცა, რადგანაც ფიქრად აქვს მოკლე მომავალში საგანგებო კრებაზედ აღძრას ლაპარაკი ამ საგნის შესახებ.

მ—შვილი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. სანება-მთა,** (კავკავის მაზრა). სოფ. სანების მთებში კვრცხლ-

ახალ ოსმალების დაპატიმრება და განდევნა. სასტიკი ყურადღება აქვს მიქცეული ყველაფერს. წარსულ კვირაში დააპატიმრეს და გაჰგზავნეს ოსმალეთის ციმბირში—აკიაში ერთი ჟანდარმი, რომელიც ბეგის მემკვიდრეს დაელაპარაკა თურმე როგორც ნაცნობს. ყოველ დღე სავსეა გემები სხვა-და სხვა ტუსაღებით, რომლებიც სამუდამოდ ეთხოვებიან, თუ სიცოცხლეს არა, თავისს სამშობლო მიწა-წყალს მაინც.

სომხებმა ხელ-ახლად იჩინეს თავი, აქა-იქ მდიდარ ოჯახებში გამოცხადდნენ კიდეც კომიტეტის ბეჭდებით და მოითხოვეს სახარჯო. ახლა, როგორც ხმა დადის, კიდევ უნდა მოველოდეთ გულის კანკალით იმ საშინელის ამბის გამეორებას, რომელიც ცნობილია თავის საკვირველის სახელით „ხოცვა-ჟლეტით“. 14 და 15 აგვისტო კარზედ არის მომდგარი. ამ გზობით, ოსმალების სიტყვით, ნაკლები სასჯელი არც ბერძნებს მოელის. საზოგადოდ არა მაჰმადიანთ შიში ჰმართებთ, რადგან ხალხი ძალიან არის გულზედ მოსული.

მართლაც, ეს რამდენიმე დღეა, ოსმალები ძალიან ცუდის თვალით უყურებენ ქრისტიანებს. გუშინ დილას ათონის მთის ერთ მღვდელ მონაზონთან ერთად მივდიოდი სტამბოლში, გზაში შეგვხვდა სალამლიკზედ მიმავალი ჯარი. ქუჩის სივიწროვის გამო ძალიან ახლოს მოგვიხდა შეჩერება. გაგვისწორდნენ თუ არა, ორმა ჯარის-კაცმა გაჯავრებულნი შემოგვიბღვირეს, მოგვილირეს თოფის ხიშტები და „ჰაი გიდი გიაურლარ ჰაიო“, წაილაპარაკეს. ჩემს მოგზაურს ფერი ეცვალა და არც მე გახლდით უმჯობესს მდგომარეობაში.

ცვლილებათა შემოღების საქმე კარგს გზას ადგია. ისიც, როგორც მორიგების პირობები, დედა-აზრის მხრივ შეწყნარებულია. ირადეც გამოვიდა, რომ რამდენსამე ვილაიეტში ცვლილებანი ჩქარა იქმნება შემოღებულიო. მიკვირს, რატომ არა სჯერათ ეს სომხებს და რაღად გაიძახიან აქაურები, რომ თუ ცვლილებანი არ შემოიღეს, ისევ არეულობას მოვახდენთო. ვითომ ვის აშინებენ ამითი? ან საიდგანღა შეუძლიანთ არეულობის მოხდენა, მთელის კონსტანტინეპოლის ხამლები (მუშები) სულ თავ-მწვანეები—თათრებ ქურთებიარიან. ვერსად დღეს სომხის მუშას ვერ იპოვნით და უამათოდ-კი სომხების აჯანყება მოუხერხებლად გვგონია, რადგან ბითლისისა, მუშისა და ზეითუნის მუშები იყვნენ ისინი, რომლებმაც შეაფიქრიანეს ოსმალეთის ადმინისტრაცია, თორემ კონსტანტინეპოლის მცხოვრებლები, რომლებიც ნაზად არიან გაზრდილები, ვერას იზმენ. ზოგან ბერძნების იმედიცა აქვთ, ჰგონიათ, ბერძნები მოგვეხმარებიანო, მხოლოდ ეს იგივე იქნება, რაც ახალს ოსმალებს საქმე დაემართათ წარსულს წელს. რაც შეეხება იმ ხმებს, რომ ვითომ არეულობა დაიწყება თუ არა, მაშინვე გემები შემოვაო, არც ეს არის დასაჯერებელი. პირველად რომ აიშალნენ სომხები, მაშინაც ელოდნენ გემებს და იმედი არ გაუმართლდათ. მეორედაც არეულობამ ოთხს დღეს გასტანა, მაგრამ მაინც არა იქმნა რა. ეხლა ამბობენ, აქ მყოფი სტაციონერები მაშინვე დაუშენენ ზარბაზნებს ილდიზ-კიოსკსა და თოფხანასაო. ესეც მარტო ოცნება უნდა იყოს. სტაციონერებმა თუ თავიანთი დესპანები და მისსია გადაარჩინეს, ისიც კარგია. ერთის სიტყვით, შეგვიძლია მხოლოდ აღვავლინოთ თვალნი ჩვენნი ზეცისა მიმართ და ლაღად ვყოთ: „მოვედ, მამაო, და დამწყსე ცხოვარი შენი!“

ვგონებ მოსწყინდა კიდეც მკითხველს ამდენი ლაყბობა პოლიტიკის შესახებ. მაშ ეხლა გადავუხვევ საგანს და ცოტა რამ რომანიულს ამბავს გაუწყებთ, ეგების წავახალისო მკითხველი. გუშინ ერთმა ჩემმა მეგობარმა აი რა მიამბო:

„ჩამოვედი, ძიავ, დერსადეთში (სტამბოლში), საქმე უნდა მეშონა და ქი დავრჩი ტიალზედ—ვეფერი ვერ ვიშონე. ფარები, რაც მქონდა, ქი შემიჭამეს ლამაზმა ფრანგის ფაციებმა (ქრისტიანის გოგოები. ფაციას აჭარლები და ლაზები—მადმუაზელს—გოგონას ეძახიან.) ახლა რა უნდა მექნა, აქით ვეცი, იქით ვეცი, ვეფერი ვერ ვქენი. აქანაი არც დელიყანდობა ვარგებულა და არც კოჩაღობა. აგი რაცხა თათრული იყო, ქი ვიცოდი კარქათ, მარა კი აფერში გამომადგა. საცხა მივედი, ვისაც შევეხვეწე, ყველამ მითხრა „რამტონს მომცემ, რომ საქმეში დაგაყენოვო“. მე რაც არ მქონდა, რა უნდა მიმეცა. მერე მივედი ერთ ჩემს ჰემშერთან (მემიწაწყლე), შევსჩივლე.. ბიჭო, მითხრა მან,—აქ არის ერთი ჩემი მეზობელი თათარ-თურქის ქალი, თუთხმეტი ათასი ლირა აქვს, უნდა ქმარს წახყვეს. ბებერი-კია, 70 წლის, მაგრამ ჯერ კიდევ გვარიანია; შეირთე აი ქალი, ხვალ-ზეგ მოკდება და ხომ, იცი, ნახევარი მისი ქონებისა, შერიათის ძალით, შენი იქნებაო. მეც გამიწყრა ღმერთი და დავეთანხმე. აგერ ხუთი წელი სრულდება გავთავედი კაკალი კაცი!.. ის ყოველ დღე კეთულობს და მეკი ჭლექში ჩავვარდი. დასანახავად

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტყვიის და თითბრის მადნის ნიმუშები აღმოჩნდა და, როგორცა სჩანს, ზოგან მარგანეციცა სჩანს. წარსულის აპრილის აქეთია რაც შემოეჩვია ამ სოფელს ერთი ვიღაც ბაბაიანცი, რომელსაც ბესლანის რკინის გზის სადგურში მესამე კლასის ბუფეტი აქვს აღებული იჯარით. ეს ბატონი პირველად როცა მოვიდა სანებაში, სალხში ისე ავრცელებდა ხმას: „ირმის რქებისა და ცხვრის ტყავების სასყიდლად დავდივარო". თურმე ჩუმად წაიღო ამ მთიდგან ნიმუშები მადნისა და რომ გაიგო აქ გმრიელი ლუკმა არისო, მოუხშირა სიარული ამ სოფელში. ბარე ორჯელ მიიწვია კიდეც გავკავში სოფლის მოხელენი გასამეგობრებლად და კაი დროც გაატარებინა. ბოლოს სოფელს გამოუცხადა:" მოდით, ეს მთები იჯარით მომეცით, თქვენთვისაც სარგებელი რამე იქნებაო." ამაზედ მამასახლისმა გადაწყვეტით უთხრა: „ოლქის უფროსისაგან ბმანება გვაქვს კანცელარიებში, რომ უმაღლესი მთავრობის ნება-დაურთველად ზირობის შეკვრა მთების იჯარით გაცემაზედ არ შეგვიძლიათო. ამიტომ, თუ შეგიძლიათ, აიღეთ ნება-რთვა უმაღლესის მთავრობისაგან და ბატონი ბმანდებით, მოგცემთ ჩვენს მთებსაო." ბაბაიანცმა-მიუგო; მაგაზედ ადვილი რა არის, ავიღებო. ვნახოთ, მოვიდა მეორედ, მესამედ და ნება რთვა-ვერ მოიტანა. უკანასკნელად ეს ბატონი მოვიდა 20 ივლისს და მამასახლისს უთხრა: მთავრობისაგან ნება-რთვა მოვიტანე და, დამატარე და მაჩვენე ის ადგილები, სადაც მოსალოდნელია მადნები აღმოჩნდესო. მამასახლისმა უთხრა: თუ ნება-რთვა მოიტანეთ, გვაჩვენეთ და ბატონი ბმანდებით, გიჩვენებთო, უიმისოთ კი ნებას ვერ მოგცემთ მთები გასინჯოთო. ბაბაიანცმა უპასუხა: მე რომ გიჩვენოთ, თქვენ იმითი ისარგებლებთ, გაიგებთ გზა კვალს და მერე მე აღარ მომცემთ თქვენს მთებსაო. ბაბაიანცმა ჩუმად შეაგულიანა ხალხი მამასახლისის წინააღმდეგ; „მამასახლისს უნდა თქვენი მთები ჩუმად გაჰყიდოს და თქვენ ცალიერი დარჩეთ, თორემ მთები თქვენია და მთავრობას რა ხელი აქვს თქვენს მთებთანაო."

ამ ნაირად ბაბაიანცის მოქნილმა და მარილიანმა ენამ გასჭრა, სოფელმა აღარ გაუგონა მამასახლისს, ამოირჩიეს თხუთმეტი კაცი, გაუძღოლეს ბაბაიანცს და დაატარეს ყველა ადგილები, სადაც მადნებია. ბაბაიანცმა დაბრუნებისთანავე ყველას თითო მანეთი აჩუქა და სოფელს დიდი იმედი მისცა: „ნუგეშინიანთ ვერავინ ვერას გიზამთ, ერთის სიტყვით გაგამდიდრებთ, ერთს ურემს ქაღალდის ფულს მოვიტან თქვენს სოფელშიო"...

მამასახლისმა ამის გამო ოქმი შეადგინა და მოახსენა სადაც ჯერ არს. ამ ნაირად ბ. ბაბაიანცის წყალობით დიდი უსიამოვნობა ჩამოვარდა ამ ჟამად მამასახლისს და სოფელს შორის და ღმერთმა უწყის რითი დასრულდება ეს ამბავი...

ქართველი ოსეთში

## წერილი ფოთიდან

ჩვენმა ახალგაზდობამ ბ ნს ს. მგალობლიშვილის მეთაურობით ისარგებლა ა. კავსაძის წვევით, რომელიც კონცერტის შემდეგ სტუმრად დარჩა ჩვენში. ამ დღეებში ბ-ნ კავსაძის ლოტბარობით კლუბის დარბაზში საქველ-მოქმედო აზრით გამართული იყო კონცერტი დივერტისმენტით. კონცერტში მონაწილეობას იღებდა 9 კაცი, მართალია, რიცხვიც ცოტანი იყვნენ, მაგრამ ვინც იყო, რჩეულთა გუნდს ეკუთვნოდა ყველა და ამისათვის ყველა სიმღერები, სხვა-და-სხვა კილოზედ დაწერილი, ლამაზად იმღერეს, ასე რომ სცენაზედ მაყურებელს ბ-ნ კავსაძის ძველი ხორო ეგონებოდა და არა ახლად შემდგარი მომღერალთა გუნდი. ხორომ, ქართულის სიმღერე'ის გარდა, ორი რუსულიც იმღერა. თითონ კავსაძემ თავისის მღერით მეტათ ასიამოვნა საზოგადოება. დივერტისმენტში მონაწილეობას იღებდნენ ბ-ნნი კ. სარჯველაძე, ი. კოხრეიძე, ბ. პოლკო და ალადაშვილი. საზოგადოდ მწყობრათ და ლამაზად ჩაიარა კონცერტმა. საზოგადოება ნასიამოვნები დაბრუნდა სახლში. საუბედუროდ, ხალხი იმდენი ვერ დაესწრო, რამდენიც მოსალოდნელი იყო, მაგრამ ეს იმას მიეწერება, რომ დღეს ჩვენებურები საავგარაკოდ არიან გასულნი ქალაქიდგან. მართლაც, იმ დღეს მზე ისე უხვად ჰფენდა დედა-მიწას თავისს სხივებს, რომ გარეთ კვერცხიც შეიწვებოდა. ხშირად მეტის-მეტი სიცხე ავის დარის მომასწავებელია. ისის იყო კონცერტის მესამე განყოფილება დაიწყო, ზღვის ქარმა შავი დრუბლები ამორეკა და კოკის პირული წვიმა დაუშვა. ტაროსის შეცვლამ ბევრი აყურყუტა კლუბის დარბაზში და ვინც-კი ეტლით გაბედა სახლში წასვლა, არც ერთს შინ კაბა-კუბა და ჩიხტიკოპი მშრალი არ მიჰყოლია. საზოგადოდ მკათათვის დამლევს ბუნება ძლიერ შეიცვალა, ხშირმა წვიმებმა ლამის თავი მოგვაბეზროს. მართალია, წვიმა ეხლა სიმინდს ბევრს ვერას დააკლებს, მაგრამ შენი მტერია, ამ ნაავდარზედ თუ ძლიერ ჩამოცხა, ციებ-ცხელებამ ჩვენ შეგვაწუხოს?..

27 და 28 ივლისს ისე გააფთრებული სცემდა ზღვა თავისს ტალღებს ნავთ-სადგურს, რომ არც ერთი გემი ახლოსაც არ მოგვკარებია.

თითქმის ერთ კვირაზედ მეტია, რაც ტელეფონით მუსაიფი გააბეს ფოთელებმა. ყველას სასიამოვნოდ დაურჩა იმისი გამართვა. ტელეფონის ქსელის გაბმამ ცოტა არ იყოს ჩვენს ქალაქს გარეგანი სილამაზე შეჰმატა. ქალაქის ზოგიერთი გრძელი და განიერი ქუჩები ისე დაამშვენა, როგორც თავრთულობა ამშვენებს მეჰორე ქალებს, რომლებიც ახლად ამოცომებულ ჰორს ისე მარდათ გარდასცემენ ხოლმე ერთ-ერთმანეთს, როგორც ტელეფონი. ჩვენდა სამწუხაროდ, აქაც აღმოჩნდნენ უგულო უმადურნი, რომელთაც ბოროტის განზრახვით 29 მკათათვის ღამეს კუნძულზედ დასჭრეს ოთხის აბონემენტის მავთულები და გზას გაუყენეს. მერე რისთვის და რომელ ავლა დიდებისთვის?!. თუ ჯავრის ამოყრას ჰფიქრობენ ვისმეზედ, ეს ვერაფერი ვაჟკაცობაა; „ავი კაცი ცხენს ვერ მოერია და უნაგირს დაუწყო ცემაო"! ეხლა პოლიცია მხნედ დაეძებს დამნაშავეთ და საცა იქმნება, ღვინის ქურდისა არ იყოს, თხლეზედ დაიჭერენ მათ. ამასთან იმასაც ნუ დაივიწყებენ, რომ დამნაშავეს სისხლის სამართალში მისცემენ ასეთის თავ-ხედობისათვის.

ჭაბუკი

## დედათა სამკურნალო ინსტიტუტი.

ამას წინად ცალკე მეთაური წერილი დაიბეჭდა „ივერიაში" იმის შესახებ, რომ პეტერბურგში დედათა სამკურნალო ინსტიტუტი არსდება. ახლა, როგორც რუსული ჟურნალ-გაზეთები იუწყებიან, ინსტიტუტის მზრუნველს საზოგადოებას განუზრახავს ინსტიტუტში ყურის მგდებელ ქალთათვის საზოგადო საცხოვრებელი სახლი ააშენოს, დააარსოს ინსტიტუტთან ბავშვებისათვის საავადმყოფო, მშობიარეთათვის თავშესაფარი, თვალის ავადმყოფობათა და ფიზიკურ სავარჯიშოთათვის ცალკე შენობა ააგოს. ყოველივე ეს უმაღლესს სამკურნალო სასწავლებლისათვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს; ხოლო საზოგადო საცხოვრებელი სახლი მოსწავლე ქალთათვის ისეთს ქალაქში, როგორიც პეტერბურგია, სავსე ათასგვარ შემთხვევათა და უსიამოვნო გარემოებით, მეტადრე იმათთვის, ვინც პროვინციიდგან პირველად ჩავა სატახტო ქალაქში, სადაც არც ნათესავი და არც გულ-შემატკივარი ნაცნობი არ მოეძებნება, ეჭვი არ არის, არა ნაკლებს საჭიროებას შეადგენს მათთვის. ამ კეთილ და რუსეთის დედათათვის დიაღ გულ-მტკივნეულის გრძნობით გამსჭვალულ საქმის მოთავეთ, ინსტიტუტის დამაარსებელთ, ეს გარემოება უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ და სცდილობენ საშვილის-შვილო, რუსეთისათვის პირველი და სამაგალითო საქმე ისე მოაწყონ, რომ მისგან მოსალოდნელს ნაყოფს ზიანი არა მოჰყვეს-რა, თუნდაც ერთის იმ მრავალთაგანისათვის, რომელნიც რუსეთის ყველა მხრიდგან შეკრბებიან. ქალის მშვენებად, ღირსებად მისი ზნეობა, გულწმინდობა და სულიერ ძლიერებასთან შეერთებული გულის სინაზე ითვლება, რომელიც, განათლებით განსპეტაკებული და ამაღლებული, კაცობრიობას მისს საქვეყნო გასაჭირში მხნელ მადლად უნდა ევლინებოდეს და თავისის დაუშრეტელის უკეთესის მიმართ მისწრაფებითა და იმედით მუდამ ამხნევებდეს ცხოვრებისაგან საუკუნოებით დაღლილს მამაკაცს. ამავე მადლით უნდა შეამკოს და გაჰფურჩქნოს ის მომავალი თაობა, რომელიც შემდგომ ქვეყნის საქმეთა ხელთ მპყრად, წინამძღოლად უნდა გამოვიდეს. რამდენადაც დედანი უკეთ აღიზრდებიან, იმდენად მეტი ნიჭი, მეტი მხნეობა, მეტი სიყვარული და თავგანწირვა ექმნება მომავალს თაობას, იმდენად კაცობრიობა წინ წაიწევს. აკვანი და ნანა, რომელსაც ასეთი დედა დაარწევს და დასძახებს, ძველებურად მარტო ჯანისა და სიტკბოსათვის-კი არ იქნება გამოწვეული, არა, იგი ისეთს საძირკველს ჩაუდგამს, რომელიც მთელს ცხოვრებაში შეურყევლად შეჰრჩება და ზედ აშენდება ცხოვრება გონივრული, რომლის სარგებლობაც, ეჭვი არ არის, ყველასათვის თვალხილული იქნება.

ხსენებულის საზოგადოების წევრნი და მათ შორის კნ. კუდაშევისა ახლა ცალკე წერილით მიჰმართავს მთელის სამხრეთ რუსეთის დედათ და სთხოვს, რომ ზემოდ დასახელებულ შენობებისათვის შეძლების დაგვარად შეწირულობანი შეჰკრიბონ, რადგანაც საჭირო თანხა საზოგადოებას აღარა აქვს". ინსტიტუტი ჩრდილო-რუსეთის დედათა შეწირულებითა და თაოსნობით იქმნა დაარსებული, ახლა-კი სამხრეთ რუსეთის დედათა მოვალეობაა ინსტიტუტს დანარჩენს მოწყობაში ხელი მოუმართონ და ჩვეულებრივის თანაგრძნობით შეეგებნენ ამ საკეთილო და სასარგებლო საქმეს; ყველამ, ვისაც-კი შეუძლიან ხელი მოჰკიდოს და, მცირეოდენიც არის, ფული შეჰკრიბოს ქალაქადა, თუ სოფლადაო", სწერს კნ. კუდაშევისა.

სამხრეთ რუსეთი, ეჭვი არ არის, კავკასიას არ შეიცავს და იქნება არც კნ. კუდაშევისას ჰქონდა აზრად, კავკასია სამხრეთ რუსეთში მოექცია, მაგრამ საგანი, რომელსაც უკვე იცნობს ქართველი მკითხველი საზოგადოება, სახელდობრ, დედათა სამკურნალო ინსტიტუტი, საიდგანაც მომავალში ჩვენც, ქართველებს, არა ერთი და ორი განათლებული დედაექიმი ჩამოგვივა, იქამდის თანაგრძნობის ღირსია, რომ არ შეიძლება ჩვენმა პატარა ერმა, რომელიც უმაღლესის სწავლის მისაღებად ჯერ ხნობით უმეტესად რუსეთისაკენ მიისწრაფის, ყურადღება არ მიაქციოს

---

მეზარება, საძაგელი სანახავია, მარა მივალ თუ არა სახლში, მომიტანს სხვა-და-სხვა „ზაკუსკებს", მეიდგამს გვერდში მასტიკას და იმტონს დამალევინებს, რომ დამათრობს და შემდეგ გათენებამდის ჯანს მაგდებინებს კოცნით. აგი კიდევ აფერი, ამ შეჩვენებულს ყავდა ორი ქოლე-ხალაიკი (ნაყიდი გოგოები), ერთი იმათგანი უმფროსი 18 წლისა საშინელი გახვითქინებული ფაცია იყო, ერთიც ჯერ კიდევ პატარა თორმეტი წლისა. ესენი ორივე ჩამაბარა—„შენი შვილები არისო". მე ცეხლი მომეკიდა, ვხედავ გადაბებრუხუნებული ქალი გვერდზედ და გაბუტკუჩუნებული გოგო მოსამსახურეთ, მარა რას ვიზამდი—ჩვენ გურჯებს ერთი ჩოულობა გვაქ, თუ კი ერთხელვე ერთ სასლში პურ მარილს ვსჭამთ, იქ სიბინძურეს ვერ ჩევიდენთ. გოგო მოსვლისათანავე ამეკუტურა, დამიწყო ლაქაცუნობა. კიდამ გავბრიყვდი და, რომ ასთე ღარიბი არ ვყოფილიყავი, ეგებ კი დეც გამეწკეპლა; მარა, ხომ იცი, ჩემო დოსტო, ჩვენი შერიათის კანონი ფაციის გაწბილებისათვის უნიქალოთ ას-ორმოცდა-ათ ლირას ჯარიმას გადამახდევინებდა და ნაობახშიც დამაჯდენდენ, მე ოცდა-ათი ყურუშიც არ მქონდა, მოვითფინე, დავკრიჭე კბილები. ახლა გოგომ შემეხვეწა, თუ შენ აღარ გინდივარ, გამათხოვე, ქალბატონიდან ნება ამიღეო. მე ეს ჩემს მზის უნახავს ჯადოს უთხარი—გურიაში რუმ იტყვიან ჰაჰვეთს დაღისო, სტორეთ იმფერია ჩემი ცოლი—ჩემმა ცოლმა ავარდა დავარდა: „რას ქვია ქოლეს გათხოვება, მე ის ნაყიდი მყავს და ჩემი სიკუთრება არისო". ხომ იცი, ძიავ, ჩვენი ადეთი—ნაყიდი გოგო იგივე ნაყიდი ცხენია, გინდა ძროხა, თუ მყიდველის ნება-რთვა არ იქნა, ისე ის ვერსად წავა, ვერც გათხოვდება, იმას არც ბილეთს მიცემენ სამე წევიდეს, ერთის სიტყვით, ის სრული საქონელია, რომელსაც პატრონი თუ უნდა გაყიდის, გააჩუქებს, სიკვდილამდი იმსახურებს. მე ეს ვერ მოვითმინე, მევინდომე გამენთავისუფლებია. ქაღალდი გავაკეთე, ჩემს ძვირფას მეუღლეს ბეჭედი მოვპარე, ვსტყეპე ზედ, ორი ტყუილი მოწმეც ვიშოვნე, იგინსაც ვატყეპებიე ბეჭდები. საქმე გაკეთდა. ყოლიფერი მზათ იყო. საქმროც, როგორც მოგახსენე, მზათ მყავდა. ის ვირის შვ.. ჩვენს სახლში მოქირავეთ იდგა, თურმე მამძ... თურქს საქმე უკვე გაუკეთებია, ღამღამობით შედიოდა ამ ჩემ შვილობილთან და გათენებამდის იბურგნებოდენ. ასთე მომჯადა იმ თურქმა. მე იგი ვერ მევითფინე, ვეცი კისერში ჩემს მომჯადველს, და იმდონი ვსცემე, რუმ სულ ტყლიპი ჩაუქციე მუცელში. თავისუფლების ქაღალდი მიცემული დამირჩა. ამ უნამუსო თურქმა კიდევ თლათ ვარესად მომჯადა, ჯერ შეირთო გოგო, საქმე გეიკეთა და მერმე ქი გამამხილა ცოლთან ყოლიფერს, გოგოის გაწბილებაც მე მომახვია თავზედ. ახლა გაჯავრდა ჩემი ხანუმი და ქი გამომაგდო გარეთ, მე იგი არ მწყენია, მადლობა ღმერთს, გადაურჩი იმ საძაგელს ჯადოს, მარა იგი მკლავს, რომ სიკეთისთვის სიავე მიყვეს, ეს ერთი, და, მეორე, ის შეჩვენებული დედაკაცი რომ მოკვდეს ეხლა, რა კი მოვშორდი, მე აღარა მომიწევს-რა. ვაი მისს ტყავს, რა ტყუილათ გამომწოვა უმჯობესი სიდელიყანდე. მარა ჯანდაბას მისი თავი, მე ახლა იგი მაგულდიდებს, რომ ორი სული გადავარჩინე—უმფროსი ქმარს გაჰყვა და უმცროსის ნაყიდობის ხელ-წერილიც დავხიე. მართლა საცოდავია ამ მხრით თათრის ხალაიკები—მეტადრე კი თეთრები—შავები-კი ადვილად სცდებიან ამ უბედურებას, ამ უკანასკნელებს ათავისუფლებს ინგლისის მთავრობა, როგორც არაბს, და თეთრები-კი ასე უსაშველო მდგომარეობაში არიან. ასეა, ჩემო ძიავ, ჩვენი ცხოვრება. ჯერ კიდევ საშინლად გარცევლებულია ოსმალეთში ტყვის ყიდვა და ეს საშინელი ქოლეობა-მონობა. ეჰ! რომელი ერთი უნდა გითხრა, გული მიკვდება და თანაც სუნთლათ მევიჯაყე კაკალი კაცი. სახლში, ჩემ სახლში გამიწკეპლეს ფაციეი და მეც გარეთ გამომაგდეს. ამას მე ჩემ ქვეყანაში ვერ მევითმენდი, მარა აქ რას იზამ: კიდევ ის მიშლის ხელს, რომ უმცროსს ფაცის სიტყვა აქ მოცემული, რომ გაიქცევა და ჩემთან მოვა, ან იმას რა უყო? აგერ ოთხი წელიწადია, ამ დასაქცევ გობრუხში (დამოჟნა) ვემსახურები და აგერ ახლა ასი ყურუში დამინიშნეს თვეში (ერთი თუმანი), მარა კიდო გეტყვი, მე ახლა ის მახარებს და მაგულდიდებს, რუმ ორი ადამიანი გადავარჩინე სამუდამო, სამისდღემჩიო წვალებას. ხომ კარგად მიქნია?

— უკეთესი, ვგონებ, არავის ოსმალთაგანს არა უქნია-რა ოსმალეთში-მეთქი,—მივუგე მე. ამ დროს შემოვიდა ერთი ევროპიულად გამოწყობილი კაცი, რომელიც ჩვენის საუბრის დროს იქვე კუთხეში იჯდა, იმას შემოჰყვა ორი პოლიციელი და ჩემი მეგობარი გაქაჩეს. „ჰოი, შე ჰარამზადავ, შენა, ჩვენს საიდუმლოს გიაურს ელაპარაკებიო"!.. უთხრეს, გაიყვანეს გარეთ და დღესაც ციხეში ჰზის.

იასე რაჭველი

და შეძლებისამებრ ჩვენმა დედებმა თავისი წვლილი არ მიაწოდონ. მართალია, ჩვენი ერი ღარიბია და შინაც, ადგილობრივ, ბევრი გაჭირვება აქვს, — თუნდაც დიდის ხნის განზრახული ქართველ დედათა სასწავლებელი გავიხსენოთ, რომლისათვის საჭირო თანხა დღემდისაც არ შეუკრებიათ, — მაგრამ ეს გარემოება ხელს ვერავის შეუშლის და ვინც-კი საკაცობრიო და მეტადრე დედათა განათლებისა და წარმატების მსურველია, ყველა მოახერხებს, რომ ყოველ-დღიურს ხარჯს ოჯახობაში, ან ჩაცმა-დახურვისათვის გადადებულს ფულს თითო მანეთი მოაკლოს და დედათა განათლებისათვის გადასდოს. ეს ფული რომ სანახევროდ გავანაწილოთ ტფილისში დასაარსებელ საშუალო დედათა სასწავლებლისა და პეტერბურგის დედათა სამკურნალო ინსტიტუტისათვის გასაგზავნად, მაშინ ჩვენს დიდის ხნის სურვილსაც მალე ეღირსება შესრულება და მეორე მხრივ იმ სამაგალითო და დიდს საქმესაც დავეხმარებით, რომელსაც დღეს მთელის რუსეთის დედანი იმედით შეჰყურებენ, როგორც ერთად-ერთს წყაროს დედათა ექიმობისა და საზოგადოდ დედათა თავისუფალ შრომისა და განათლების წინ სვლის საქმეში.

იმედია, ჩვენი დედები, რომლებიც მუდამ მხურვალე მონაწილეობას იღებენ და თანაგრძნობას უჩენენ ყოველს ამ გვარს სასარგებლო საქმეს, არც ეხლა დაიწევენ უკან და შინ თუ გარედ ყველას დაუმტკიცებენ, რომ უკეთესს ცხოვრებას, განათლებას, დედათა მდგომარეობის გაუმჯობესებას ესწრაფვიან და ამისათვის არც თუ ჰზოგავენ შრომასა.*)

ინ-ანი

## რუსეთი

ამ დღეებში ოდესაში გაიმართება იაპონიის გამოფენა. გამოფენაზედ იქმნება სხვა და-სხვა ნივთები და ნაწარმოები: აბრეშუმისა, თიხისა, ლითონისა, სპილოს ძვლისა და სხვ. გამოფენა იმ განზრახვით იმართება, რომ მსურველთ ამ გვარ ნივთების გამოწერა შეეძლოთ იაპონიიდგან. ამისათვის თითოეულ ნივთს ზედ წარწერა ექმნება: რამდენადა ჰღირს ნივთი იაპონიაში, რა ჯდება იმის მოტანა ოდესაში, რამდენი ბაჟი გადაჰხდება და სხვ.

— აგვისტოს შუა რიცხვებში პეტერბურგში მოვა და წაიკითხავს ლექციებს სახელოვანი მოგზაური ნანსენი. პეტერბურგის საგეოგრაფიო საზოგადოება აპირებს დიდის ამბით დაუხვდეს ნანსენს და პატივი სცეს მას. ამბობენ, პეტერბურგის ზოგიერთ ქალებს განზრახვა აქვთ ნანსენს მიართვან მშვენიერი დიდი ხალი. ამ ხალზედ გამოქარგული იქმნება აბრეშუმით დედა-მიწის ყველა ქვეყნები, ხოლო ის ადგილები, სადაც ნანსენს უმოგზაურნია, ოქრომკედით იქმნება ნაკერი.

— გაზეთი „Петер. Вѣдом.“ სწერს, რომ მეურნეობისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ა. ს. ერმოლოვი პეტერბურგში დაბრუნდება იმ დროსთვის, როდესაც რუსეთში მობრძანდება საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი. რამდენსამე დღის შემდეგ ბ-ნი მინისტრი კავკასიაში წავა სამოგზაუროდ და დაათვალიერებს ნავთის ქარხნებს, სამკურნალო წყლებსა, შავის ქვის მადნებს და სხვ.

— მომავალ სამოსწავლო წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში პრივატ დოცენტის თანამდებობას იკისრებს სენატორი ა. თ. კონი და წაიკითხავს ლექციებს: „უმთავრესნი მოთხოვნილებანი სისხლის სამართალის მოხელეთა მოქმედებისთვის.“

— იმ დროსთვის, როცა რუსეთში მოვა საფრანგეთის ესკადრა, პეტერბურგში აპირებს მოსვლას 46 ამერიკელი, რომელთა შორის 12 ქალი იქმნება. ამ ამერიკელებს თვისის მოგზაურობისთვის საგანგებოდ გემი დაუქირავებიათ. ამერიკელები პეტერბურგში 4 დღეს დარჩებიან, აქედგან 2 დღით მოსკოვში ჩავლენ და მერე დაბრუნდებიან ამერიკაში.

## უცხოეთი

**კუნძული ყუბა.** ყუბას კუნძულის აჯანყებულმა მცხოვრებლებმა ამ ბოლოს დროს დინამიტს მიჰყვეს ხელი და ბევრი რკინის გზის ლიანდაგი და ხიდი წაახდინეს. აჯანყებულთ განზრახვა აქვთ გზები წაახდინონ და ამით ხელი შეუშალონ ესპანიის ჯარის მოძრაობასა და მოქმედებას. დინამიტით უკვე ააფეთქეს და წაახდინეს გზები: პუერტო-პრინსიპესი, პუევიტასი, ხუკარონომორის ციხისაკენ რკინის გზის ლიანდაგი და მრავალი კიდევ სხვა. არაუგოს რაზმმა ააფეთქა და სრულიად გაანადგურა მშვენიერი ხიდი მადრუგასა და ნობლეს შუა. ამბობენ, რკინის გზის პატრონებმა მიჰმართეს აჯანყებულთ და ფული შეაძლიეს, ლიანდაგსა და ხიდებს ნუ წაახდენთო. აჯანყებულნი დიდ ძალს ტყვია წამალსა და იარაღს ეზიდებიან. ფლორიდის ნაპირებიდგან წამოუღიათ კიდევ 2 ზარბაზანი, 1 მილიონი პატრონა, 500 ხანჯალი, დინამიტი და წამალი დაჭრილთათვის. ოფიციალურ ცნობებით ყუბას კუნძულზედ ეხლა 26,000 ჯარის-კაცია ავად. გაზეთები ამბობენ, რომ ესპანია ტყუილა-უბრალოდ ხარჯავს ფულსა და აჯანყებულებთან ვერაფერს გახდებაო. ერთს გაზეთში ფრიად საყურადღებო წერილია დაბეჭდილი, რომელიც აღნიშნავს ყუბას კუნძულის დიდ პლანტაციების პატრონების სურვილს. ამ პლანტატორებსა ჰსურთ, რაც კუნძულზედ ჯარია თვისს მუშებად გადააქციონ. გაზეთები სწერენ, რომ ამ ჟამად ყუბას კუნძულზედ 200 დიდი პლანტაციაა, რომელსაც თვისის ხარჯით შეუძლიანთ 40,000 ჯარის-კაცი შეინახონ. 6,000 კაცი საჭიროა მარტო ამ პლანტაციების სადარაჯოდ და 34,000 კაცი კიდევ პლანტაციებზედ იმუშავებს ჯამაგირით. 4 წლის შემდეგ თითო ჯარის კაცს იმდენი ფული შეუგროვდება, რომ ესპანიაში შეეძლება პატარა ადგილი იყოს. აჯანყებულთ ამ პროექტისა სრულებითაც არ ეშინიანთ, რადგანაც ჯერ ბევრს პროვინციაში აჯანყება არ დამშვიდებულა და ჯარს ჯერ ბევრი საქმე და ბრძოლა მოელის. სამწუხარო ის არის, რომ მთელი ეს საკმაოდ მდიდარი მხარე ძლიერ გაღარიბდა და ავადმყოფობაც ძლიერ გავრცელდა. ზოგიერთ ადგილებში 12,000 მცხოვრებთა შორის 1,200 კაცი იხოცება თვეში. ჯარს ხომ ნულარ იტყვით, ციებ-ცხელებამ ჰლამის სულ ერთიანად ამოსწყვიტოს.

## ნარევი

როდესაც ფრანკლინი ინგლისში წავიდა, თან მიიყვანა თურმე ერთი ზანგი, რომელსაც დიდი ბრიტანია მალიან მოსწონდა, რადგან იმისთანა თავისს სიცოცხლეში არა ენახა-რა. ერთხელ ფრანკლინმა ჰკითხა:

— ინგლისი როგორ მოგწონსო?

— ყველაფერი ჰმუშაობს ამ ქვეყანაშიო, უპასუხა ზანგმა: წყალი ჰმუშაობს, ქარი ჰმუშაობს, ცეცხლი ჰმუშაობს, გვამლი ჰმუშაობს, ძაღლები ჰმუშაობენ, ხარები ჰმუშაობენ, ქალნი და კაცნი ჰმუშაობენ, ყველა და ყველაფერი ჰმუშაობს, ღორის გარდა, — ღორია ერთად-ერთი ბატონი ინგლისშიო.

### ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთი მკურნალი ამტკიცებს, რომ ცერცვს ჯიშისა და გვარეულობის მცენარეობას ხშირად ჭლექი უჩნდებაო. მკურნალს დაწვრილებით გამოუკვლევია, რომ ჭლექის ბაქტერია ყველა მცენარეს ერთგვარად არ ასნეულებს; ზოგი მცენარე, (ცხოველსავით) ადვილად აიტანს ამ ავადმყოფობას, ზოგი ძნელად. ამის მიზეზი სხვა-და-სხვა გარემოება არის ხოლმე, მაგრამ უმთავრესი მიზეზი-კი თურმე შთამომავლობა ყოფილა. მეცნიერი ამტკიცებს, რომ მცენარეთა შორის, როგორც ცხოველთა შორის, ჭლექი ჩამომავლობით გადაეცემაო.

* * *

ავსტრი-უნგრეთის მთავრობამ ნება მისცა ქალებს მკურნალობის შესწავლისა. მ გრამ ბუდაპეშტის ერთმა პროფესორმა ერთი ქალი დაითხოვა თვისის კლინიკიდგან და გამოუცხადა, მხოლოდ იმ პირობით შემოგიშვებ კლინიკაში, თუ თმას გაიკრეჭავთ. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ამ სტუდენტს ქალს თურმე მშვენიერი თმა ჰქონია. პროფესორმა-კი პირდაპირ გამოუცხადა, კლინიკაში ვერ შემოგიშვებ, რადგანაც ბალანი გადამდებს სენს ავრცელებსო.

***

მართალია, ბევრს ექნება გაგონილი, რომ საშუალო საუკუნოებში ხის ზარბაზნებსა ხმარობდნენ ომის დროს, მაგრამ ის-კი ფიქრად არავის მოუვიდოდა, რომ ეხლა, ამ მეცხრამეტე საუკუნის დამლევს ვინმე იხმარებდა ხის ზარბაზნებს. თურმე ყუბას კუნძულის მცხოვრებნი რომ აჯანყდნენ ესპანიელების წინააღმდეგ და ზარბაზნები დააკლდათ, ხის ზარბაზნები დააკეთეს. ყუბელებმა სჭრიდნენ ხეს, აცხელებდნენ რკინის კავებს, ხის გულს გამოსწვამდნენ ხოლმე და მერე ზარბაზნად ხმარობდნენ. ტყვიის მაგივრად ჰხმარობდნენ რკინის ნატეხებს, მრგვალ ქვებსა და დამწვარს თიხის ბურთებს.

იაპონელებმა რომ ჩინეთს ამრი წაართვეს, აღმოჩნდა, რომ იქაური ჯარი ხის ზარბაზნებსა ჰხმარობდა. თვით იაპონიაშიაც ჰხმარობდნენ თურმე ბამბუკის (ხეა) ზარბაზნებს.

## გასართობი

მელბურნში ამას წინად გარდაიცვალა ერთი წიგნების ვაჭარი, რომელსაც ისეთი დიდი სახელი ჰქონდა, რომ „წიგნის ვაჭართა და გამომცემელთა მეფეს“ უწოდებდნენ. სიჭაბუკეში იგი ნოქრად იყო ერთს წიგნის მაღაზიაში, რომლის პატრონსაც ლამაზი და მშვენიერი ქალიშვილი ჰყავდა. ახალგაზდათ შეუყვარდათ ერთმანეთი და ოცნება დაიწყეს ქორწინებით შეუღლებულიყვნენ. როდესაც ვმაწვილმა კაცმა გაჰბედა და თავისს სასიმამროს გამოუცხადა თავისი სურვილი, წიგნის ვაჭარი სიცილად გადაიქცა.

— გახვრეტილი გროშიც არ გაბადია და ჩემის ქალის შერთვას-კი აპირებ! — შესძახა მან.

— მართალიაო, უპასუხა ყმაწვილმა კაცმა, ეხლა არა მაქვს-რა, მაგრამ ჩქარა გავმდიდრდები.

— როგორ?

— თუ არა გჯერათ, გამომცადეთ და დარწმუნდებით, რომ დიდი ნიჭი მაქვს ვაჭრობისა.

— კარგიო, უპასუხა ვაჭარმა და ერთს წამს ჩაფიქრდა: აგერ ჩემს საწყობში 1,500 ცალი აწყვია მოთხრობა „სასწაულთ-მომქმედი ყლორტი“, რომელსაც არავინა ყიდულობს, აბა სცადე ბედი ამ საქონლით.

ორის კვირის განმავლობაში ეს 1,500 ეგზემპლიარი სულ ერთიანად გაიყიდა. როდესაც ახალგაზდა ნოქარსა ჰკითხა ვაჭარმა, როგორ მოახერხე მაგ წიგნების გაყიდვაო, ნოქარმა გაზეთი უჩვენა, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგი განცხადება იყო დაბეჭდილი: „ახალგაზდასა და მდიდარს მემამულეს ჰსურს ცოლი შეირთოს. არ ეძებს არც სიმდიდრესა და არც სილამაზეს, მხოლოდ ისეთი ქალი უნდა მოსძებნოს, რომ გრძნობა-გონებით განსპეტაკებულ კეთილშობილი იყოს. გასათხოვართ, ამ ღირსების მქონეთ, ვთხოვთ მობრძანდნენ №-ის ქუჩაზედ, ნაშუადღევის 3 საათზედ; ხოლო რომ შეცდომა არა მოხდეს-რა, ვთხოვთ ხელში დაიჭირონ მოთხრობა „სასწაულთ-მომქმედი ყლორტი“. ვაჭარმა, წაიკითხა თუ არა ეს განცხადება, მაშინვე მიჰხვდა, რად გაყიდულა ასე ჩქარა წიგნები, თ და აღტაცებით წამოიძახა:

— სწორედ შენისთანა სიძე მინდოდაო!..

აქედგან დაიწყო ბედნიერება უბრალო ნოქრისა და ბოლოს ხომ სახელიც გაითქვა.

***

ლონდონში ცხენის რკინის გზასა და ეტლებს ნება აქვთ, რა ფასიც უნდათ, იმას დაჰნიშნავენ, იმ პირობით-კი, რომ განცხადება ამა თუ იმ ფასის დანიშვნისა ადრევე უნდა გამოაკრან ვაგონსა და ეტლებზედ. ცხენის რკინის გზით ერთის მანძილის გავლა 1 კაპ. და ხან 2 კაპ. ჰღირს. როდესაც ინგლისის დედოფლის იუბილეი იყო, ცხენის რკინის გზის საზოგადოებამ გამოაცხადა, რომ „6 კაპ. ჰღირს, რა მანძილიც უნდა გაიაროს მგზავრმაო“. ხუთნი ამხანაგნი ჩასხდნენ, ყურადღება-კი არ მიაქციეს ამ განცხადებას და დიდად გაოცდნენ, როდესაც, თითო კაპეიკის ნაცვლად, იძულებულნი შეიქმნენ ექვს-ექვსი კაპეიკი გარდაეხადათ. გარდაიხადეს-კი, მაგრამ ერთმა მაშინვე შენიშნა წარწერა: „რა მანძილიც უნდა გაიაროს მგზავრმაო“. ამის გამო ლიანდაგის ბოლომდე რომ მივიდნენ, ადგილიდგან არ დაიძრნენ და პოლიციამაც-კი ვერ გადმოსხა, რადგან განცხადების აზრის მხრივ მართალნი იყვნენ. ორჯელ შემოუარეს მთელს ქალაქს გარეშემო და რაკი მაინც არ გადმოდიოდნენ, მეეტლე იძულებული იყო ბინაზედ მისულიყო, ცხენები გამოეშვა და მხოლოდ მაშინ მოშორდნენ მგზავრნი ვაგონს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

5 აგვისტო

**ოდესსა.** ოდესის ქალაქის საბჭომ ერთხმად გადასწყვიტა: საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ფორის მოსვლის დღეს რუსეთში გაუგზავნოს მისალმების დეპეშა.

**მოსკოვი.** 4 აგვისტოს ნიკოლოოზის რკინის გზაზედ პეტროვსკორაზუმოვსკის სადგურზედ საქონლის მატარებელს № 55, რომელიც სადგურზედ იდგა, დაეჯახა პეტერბურგიდგან მომავალი მატარებელი № 59 დაიმსხვრა ორი ვაგონი; რამდენიმე ვაგონი დაშავდა; დაშავებულნი არიან, მემაშინე, ობერ-კონდუქტორი და მატარებლის № 59-ის კონდუქტორი.

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშითა სწერენ კონსტანტინეპოლიდგან: „შაბათს თოფხანეში მომხდარ კრების დრცს ოთხმა ელჩმა განაცხადა, რომ ჩვენ ვეთანხმებით გერმანიის აზრს შესახებ თესალიის დაცლისაო. ხოლო კერრიმ განაცხადა, რომ სოლსბერი ამის წინააღმდეგ თვისს მოსაზრებას წარმოადგენსო“.

„კელნის გაზეთს“ დეპეშითა სწერენ კონსტანტინეპოლიდგან, რომ მორიგების საქმე შეიფერხა, რადგანაც ინგლისი თანხმა არ არის, რომ ოსმალეთმა ლარისასა და ვოლოსაგან სამხრეთის მხარეს მდებარე ოლქი დაიჭიროს, ვიდრე საბერძნეთი სამხედრო საზღვაურს გადაიხდის. ინგლისის ელჩმა ჯერ თვისი თანხმობა გამოაცხადა ამაზედ, ეხლა-კი, ინგლისის მთავრობას ეძნელება ეს თანხმობა.

**მადრიდი.** სამხედრო საბჭომ ანჯიოლილოს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

**პეტერბურგი.** ჟურნალი „ნივა“ აცხადებს, რომ მომავალს წელს ხელის მომწერთ უფასოდ დაურიგებს ტურგენევის ყველა თხზულებას 12 ტომად.

## განცხადებანი


ახლად გამოვიდა და ისყიდება

**ფაბიოლა**

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წმიდის მმობისა,

თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შუღაროვთან.


---

*) მსურველთ შეწირულებათა ჩაწერა წიგნის მისაღებად და გასაგზავნად უნდა მიჰმართონ ამ ადრესით: Екатеринославская губ., Бахмутскій уѣздъ на ст. Гришино, княг. Ек. Ив. Кудашевой და პეტერბურგში: Предсѣдательницѣ строительной комиссіи „Общества для усиленія средствъ женскаго медицинскаго института“ бар. В. И Икскуль, Кирочная, 18.

Дозволено цензурою. Тифлисъ -го Августь 1897 5 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.